სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

31 / ივლისი / 2023 წ.

KA021753721804823

№ **5/41201**

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 28.07.2023წ. № 161079 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, ფართ(ებ)ის იჯარის ფორმით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 26.07.2023წ. № 8487 წერილის გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს, თქვენს წერილში მითითებული ქონება, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ქონება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში,სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნუგზარი წამალაშვილი